



ტრენინგ-პროგრამა

- 1. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის დასახელება:** „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება - ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით“.
- 2. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მომწოდებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური) და სტატუსი (თანამდებობა, პოზიცია):** საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“; სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ტრენინგ-მოდულის ავტორები: რუსუდან ლორთქიფანიძე, ნინო რუხაძე, შეზღუდული შესაძლებლობისა და ინკლუზიური განათლების საკითხების სპეციალისტები.
- 3. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის განმახორციელებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური):** სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი.
- 4. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები:** ტრენინგი განკუთვნილია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებული სკოლების მასწავლებელთა და სპეციალურ მასწავლებელთათვის.
- 5. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა:** 20 მონაწილე
- 6. რეგიონული დაფარვა:** აჭარა.
- 7. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება:** ტრენინგ-კურსის ხანგრძლივობა 21 საკონტაქტო საათია და 5-დან 5 1/2 საათიან სამუშაო დღეს გულისხმობს.
შენიშვნა: ტრენინგის პირველი ორი დღის შემდეგ საჭიროა, რამდენიმე დღიანი შუალედი, რათა მონაწილე მასწავლებელს ჰქონდეს დრო ტრენინგის დავალების სკოლაში/კლასში შესასრულებლად.
- 8. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მოცულობა საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით:** ტრენინგ-მოდული მოიცავს 21 საკონტაქტო და 5 დამოუკიდებელი მუშაობის საათს. სულ 26 საათი.
- 9. ადამიანური რესურსი :** შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი (ტრენერი/ტრენერები)
შენიშვნა: მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ტრენინგი ჩატარდეს წყვილში.
- 10. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი:** თეთრი დაფა, დაფის ფლომასტერები (შავი, ლურჯი, წითელი), ფერადი პასტელი (5 შეკვრა), A4 ზომის ფურცლების შეკვრა, პატარა ზომის წებოვანი ფურცლები, „ფლიპჩარტის“ ქაღალდი, პროექტორი, კომპიუტერი, საყვირი/ალამი, მეგაფონი, საგანგებო სიტუაციის ჩანთა (შიგთავსით), ქაღალდის წებო (5 ცალი), მაკრატელი, ტექსტის დასამუშავებელი ფლომასტერი („ჰაილაითერი“).

თანდართული მასალა:

- ტრენინგის საკითხავი მასალა - გზამკვლევი;
- 3 ანიმაცია;
- 4 პლაკატი;

- პრე-პოსტ ტესტი;
- ტესტის სწორი პასუხები (ტრენერისათვის)
- კონკრეტული შემთხვევები (cases);
- მოქმედების წესები
- მოქმედების წესების სწორი პასუხები (ტრენერისათვის)
- მონაწილის მიერ ტრენინგის შეფასების ფორმა.

11. მსმენელთა შეფასების სისტემა: იმისთვის რომ მონაწილემ მიიღოს დადებითი შეფასება საჭიროა:

- 1. მონაწილე დაესწროს ტრენინგის მინიმუმ 18 საათს;*
- 2. შეფასების სქემაზე დააგროვოს მინიმუმ 60 ქულა!*